სპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: კრივი (30 ბავშვი); ჭიდაობა სამბო (14 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო (59 ბავშვი); ქართული ჭიდაობა 10 ბავშვი; თავისუფალი ჭიდაობა 11 ბავშვი; რაგბი (46 ბავშვი); კარატე (30 ბავშვი); კუნგ-ფუ (21 ბავშვი) კალათბურთი (86 ბავშვი) და ხელბურთი (30 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 322 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 113 ადამიანი, მათ შორის, 88 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 25 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები სისტემატიურად მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ადგილობრივ, საქართველოს და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.

ა(ა)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით. სუბსიდიის თანხები ხმარდება თანამშრომელთა ხელფასებს, მოსწავლეთა და მწვრთნელთა სამივლინებო ხარჯებს, სპორტული ინვენტარის შეძენას, ბაზების მოვლა -შენახვის ხარჯებს სხვადასხვა შიგა სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხარჯებს და საერთოდ ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ხარჯებს.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;



მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა.

ა.ბ) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01 02).

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული ტყიბულელების დასაჩუქრება; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;

პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ტყიბულის მინიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.

პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება

მოსალოდნელი შედეგი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა.

ა.გ) ქვეპროგრამა: ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01 03).

ჭადრაკი არის ინტელექტუალური თამაში რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერების და სპორტის ელემენტები. იგი ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის და ყურადღების კონცენტრაციას, გამარჯვებისაკენ სწრაფვას.

პროგრამა მიზნად ისახავს საჭადრაკო სკოლაში მიღწეული წარმატებების შენარჩუნებას, ჭადრაკის შემდგომ განვითარებას და ამ სფეროში არსებული ტრადიციების ყოველმხრივ მხარდაჭერას. საჭადრაკო კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია კლუბის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია კლუბით სარგებლობა.

პროგრამის მიზანია: საჭადრაკო სკოლაში მიღწეული წარმატებების შენარჩუნება, ჭადრაკის შემდგომი განვითარება და ამ სფეროში არსებული ტრადიციების ყოველმხრემხარდაჭერა. **მოსალოდნელი შედეგი:** საჭადრაკო კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია კლუბის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია კლუბით სარგებლობა;

ა.დ) ქვეპროგრამა: ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02).

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნორჩი მეშახტის დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა შპს „საფეხბურთო კლუბ მეშახტეს“, საიდანაც ხორციელდება ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფებისათვის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯი.

პროგრამის მიზანია: შპს საფეხბურთო კლუბ „მეშახტეს“ აღუზარდოს ადგილობრივი, ღირსეული კადრები.

ნორჩმა მეშახტემ მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ სხვადასხვა ტურნირებში და დაიკავოს საპრიზო ადგილები.

მოსალოდნელი შედეგი: კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის წრეებით სარგებლობა;

ა.ე) ქვეპროგრამა: სპორტისა და დასვენების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03).



სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდება ახალი მინი ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდება არსებულ მოედნებს როგორც ქალაქში ისე სოფლებში.

პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩაბმას სხვადასხვა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლებას და შექმნას, მოახდინოს მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე.

მოსალოდნელი შედეგი: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

ა.ვ) ქვეპროგრამა: კალათბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე საკალათბურთო გუნდის ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს გუნდს, რათა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ შეჯიბრებებში და დაიკავოს საპრიზო ადგილი.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდმა დაიკავოს საპრიზო ადგილი

ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02).

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება მათი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები.

პროგრამის მიზანია: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ბ.ა) ქვეპროგრამა: ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 2 სასოფლო კულტურის სახლი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, 10 სასოფლო კლუბი და სამხატვრო გალერეა. ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდს რაოდენობაა 642114 წიგნი ხოლო მუზეუმში ექსპონატის რაოდენობა 103 ექსპონატი.

კულტურის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ზავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 147 ადსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე.

ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი



უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.

ბ.ბ) ქვეპროგრამა: სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01 02).

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.

მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს 6 ყიბუ ლ ის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 229 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 28 თანამშრომელს. მათ შორის 22 პედაგოგია.

სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 88 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებული 11 თანამშრომელი, მათ შორის, 8 პედაგოგი.

მუნიციპალური თეატრის განვითარება ისტორიული შენობისა და დიდი ტრადიციების შენარჩუნებისათვის უმნიშვნელოვანესია. უმნიშვნელოვანესია აგრეთვე მოზარდ-მაყურებელთა დასის შექმნა და ახალგაზრდა არტისტების მოძიება, თეატრალური ფესტივალების მოწყობა და ორგანიზება, დასის განვითარება და პრემიერათა რაოდენობის ზრდა.

პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება სახელოვნებო სფეროს მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი).

ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

მარკეტინგული სტრატეგია და მოვახდინოთ მის პოპულარიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად.

სრულად არის დაკმაყოფილებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებზე და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.

ბ.გ) ქვეპროგრამა: კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 01 04).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;



პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

ქვეპროგრამის მიზანია: მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა.

გ) ქვეპროგრამა: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით.

ქვეპროგრამის მიზანი: ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება.

5. პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00).

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-1 მიზნის 1.3 და მე-3 მიზნის 3.8 ამოცანების შესრულებას.

ა.ა) ქვეპროგრამა: ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01 01).

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადექვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა; პროგრამი გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

1. ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას (სამედიცინო სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ შემთხვევათა კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) და წარდგენა დკსჯე ცენტრში; სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა; დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში შემთხვევათა რეგისტრაცია;



სამოქმედო არეალში საბიუჯეტო წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისათვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ტუბერკულოზზე საექვო შემთხვევების მონიტორინგი, ანტირაბიული ღონისძიებების ორგანიზება, საჭიროებისას მალარიის დიაგნოსტიკა მოიცავს - სისხლის სქელი წვეთის აღება და ლაბორატორიული კვლევა, 2-10 წლამდე ასაკის ბავშვთა კონტიგენტის გამოკვლევები ჰელმინთებზე. მალარიის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება, კერძოდ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება

პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი), 2. იმუნიზაცია. 3 2-10 წლამდე ბავშვთა კონტიგენტის ჰელმინთებზე გამოკვლევა

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

მოსალოდნელი შედეგი: ჯანმრთელობის რისკების მონიტორინგი და საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეგირება.

ბ) პროგრამა: სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02).

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებითა და დახმარებით უზრუნველყოფას. ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის. საოპერაციო და სამკურნალო ხარჯების, მათ შორის კვლევების თანადაფინანსებას, შშმ პირთა, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანთა და ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას, მარტოხელა ხანდაზმულების შინმოვლის პროგრამას, ხანძრით დაზარალებულთა და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებას, ბავშვის და მათი ოჯახების გაძლიერებას და სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებას.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული 01 მიზნის 1.3 და 1.4, მე-2 მიზნის 2.1 ამოცანების შესრულებას.

ბ.ა.) ქვეპროგრამა: სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური და ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებას პროფილის მიუხედავად:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001 ქულამდე-პაციენტის გადასახდელი თანხის -70 %.

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001 ქულიდან 200 000-მდე-პაციენტის გადასახდელი თანხის -50%.

გ) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტისას და ოჯახი, რომელიც არ იძებნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში -პაციენტის გადასახდელი თანხის-40%.

1.1. თანადაფინანსება განისაზღვრება არანაკლებ 100(ასი) და არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.



1.2. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური და ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება გაეწევათ წელიწადში ერთჯერ.

ქვეპროგრამით არ ფინანსდება:

- ა) საზღვარგარეთ გაწეული ქირურგიული ოპერაციის ხარჯები;
- ბ) ესთეტიკური ქირურგია კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული;
- გ) კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული მოქალაქეების ქირურგიული ოპერაცია;
- დ) პაციენტის მიერ გადახდილი თანხა.

2. სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 50%, არაუმეტეს 500 ლარისა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: ქვეპროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

ბ.ბ.) ქვეპროგრამა: კომუნალური გადასახადები (პროგრამული კოდი 06 02 02).

ქვეპროგრამით ისარგებლებენ:

ა) 2006 წლიდან შპს „საქნახშირი“ შახტაში დაღუპულთა და დაშავებულთა(რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით წელიწადში 6 თვის განმავლობაში(იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი და დეკემბერი);

კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის და სოციალური მომსახურები სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 001 ქულამდეა-ყოველთვიური 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის და სოციალური მომსახურების სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

პროგრამით მოსარგებლებმა საბიუჯეტო წლის დასაწყისსა (იანვარი) და დასასრულში (დეკემბერი) ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამსახურში უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და აბონენტის ნომერი.

გ) ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, ყოველთვიურად მოხდეს კომუნალური გადასახადის დაფინანსება, არაუმეტეს 50(ორმოცდაათი) ლარისა.

დ) წინამდებარე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პროგრამით ისარგებლებენ ბენეფიციარები, რომლებსაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზის გადამოწმების სედეგად კომპანიების მიმართ სააბონენტო ბარათზე აქვთ დავალიანება ან/და კრედიტი არაუმეტეს 20 (ოცი) ლარისა.

ქვეპროგრამის მიზანი: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების კომუნალური გადასახადების



გადახდის ხელმისაწვდომობა.

მოსალოდნელი შედეგი: მოხმარებული ზოგიერთი კომუნალური გადასახადით უზრუნველყოფა.

ბ.გ.) ქვეპროგრამა: ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა და მათთან სტრუქტურებში დასაქმებულ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით - თითოეულზე გაიცემა 200 (ორასი) ლარი;

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების გამო ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეები ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით (26 აპრილი) თითოეულზე 200(ორასი) ლარის ოდენობით;

დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები და მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირთა ფულად დახმარებას 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით- თითოეულზე გაიცემა 400(ოთხასი) ლარი.

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 1992-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა ოჯახები 26 მაისის (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულთან დაკავშირებით თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები- თითოეულზე 600 (ექვსასი) ლარი, აგვისტოს თვეში;

ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ ვეტერანების დახმარება 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 200(ორასი) ლარის ოდენობით.

ფულადი დახმარება განხორციელდება ჯანმრთელობის და სოციალური მომსახურების სამსახურში არსებული ბაზებიდან.

ქვეპროგრამის მიზანია: გარდაცვლილი მეომრების ხსოვნისათვის მათი ოჯახების დახმარება და ვეტერანი მეომრების სტატუსის დაფასება.

მოსალოდნელი შედეგი: ვეტერანის სტატუსის დაფასება.

ბ.დ.) ქვეპროგრამა: ოჯახების და ბავშვების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04).

ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან :

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი).

ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ ბავშვზე 40 (ორმოცი)ლარი.

სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახი (ორივე მშობელი და ბავშვები) რეგისტრირებული და ოჯახი ფაქტობრივად მცხოვრები იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.



ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მარტოხელა მშობელი. ყოველთვიური დახმარება 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით.

გ) შვილის შეძენის შემთხვევაში ოჯახების ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარი.

სავალდებულოა არასრულწლოვანი და ერთერთი მშობელი რეგისტრირებული იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის მიზანია: ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ამ მიზნობრივი ჯგუფების დახმარება ხდება დროულად.

ბ.ე.) ქვეპროგრამა: სოციალური სერვისები-უფასო სასაბიუჯეტო, სოციალური სამრეცხაო (პროგრამული კოდი 06 02 05).

1. სოციალური სერვისი-„უფასო სასაბიუჯეტო.“

ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.

ქვეპროგრამით ისარგებლებენ:

ა) ბენეფიციარი, რომელიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა 0-დან 65 001-მდეა.

ბ) მერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ მისი სარეიტინგო ქულა 65 001-ზე მეტია და მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

უფასო კვება განხორციელდება არსებული სიის მიხედვით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე, თუ:

ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მომართა აღნიშნულის შესახებ;

ბ) ბენეფიციარი თვის განმავლობაში ათი დღე არ სარგებლობს უფასო სასაბიუჯეტო მომსახურებით და აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;

გ) ბენეფიციარი გარდაიცვალა

2. სოციალური სერვისი- „სოციალური სამრეცხაო“ მიზნად ისახავს უფასო სასაბიუჯეტო ბენეფიციარებისთვის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების საკვების ხელმისაწვდომობის და ჰიგიენური პირობების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

ბ.ვ.) ქვეპროგრამა: შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა(პროგრამული კოდი 06 02 06).

ქვეპროგრამით ისარგებლებენ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:



ა) შშმ პირები (0-და 18 წლამდე) ერთჯერადი ფულადი დახმარება -თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) ცერებრალური დამბლით დაავადებული (18 წლის ზევით) ერთჯერადი ფულადი დახმარება - თითოეულზე 300(სამასი) ლარის ოდენობით.

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირები ყოველთვიურად 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

პროგრამის მიზანია: შშმ პირთა ოჯახების ფინანსური თანადგომა.

მოსალოდნელი შედეგი: დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი სტატუსის მქონე პირი.

ბ.ზ.) ქვეპროგრამა: ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა(პროგრამული კოდი 06 02 07).

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად. ყოველთვიური დახმარება 180 (ასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

ბ) ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების მედიკამენტებისათვის ფულადი დახმარება.დახმარება განისაზღვროს თითოეულზე 100 (ასი)ლარის ოდენობით.

თანხა გაიცემა კვარტლის მეორე თვის 15 რიცხვამდე.

ქვეპროგრამის მიზანია: დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ბენეფიციარი.

ბ.თ.) ქვეპროგრამა: სასკოლო - საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 08).

პროგრამა გულისხმობს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (დროებითი საცხოვრებელი ადგილი) და ფაქტობრივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 200 000 ქულას), შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებისა (ვისაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 20 001 ქულას) პირველი-მეექვსე კლასის მოსწავლეები.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტი ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად განსაზღვრული ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას.

პროგრამის მიზანია: სასკოლო-საკანცელარიო ნივთებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი პროგრამით მოსარგებლე და სოციალურად დაუცველი ბავშვი.

ბ.ი.) ქვეპროგრამა: 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების და შინმთავლის პროგრამა (



პროგრამული კოდი 06 02 09).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ხანდაზმული (100 წელი და მეტი ასაკის) მოქალაქის ფულადი დახმარება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით ბენეფიციარს დახმარება გაეწევა წელიწადში ერთხელ.

2. შინმოვლის სერვისი.

2.1. შინმოვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, ბენეფიციარების ჰიგიენური და საცხოვრებელი პირობების მოწესრიგება თვეში 4-ჯერ (სავალდებულო ვიზიტი კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2-ჯერ) და ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, გარდა უფასო სასადილოს ბენეფიციარებისა.

პროგრამის მიზანია: ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი მარტოხელა და 100 და მეტი წლის ხანდაზმული.

ბ.კ.) ქვეპროგრამა: გარდაცვლილი დევნილის ან ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10).

ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -300 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია გარდაცვლილი ვეტერანის/დევნილის პატივის მიგება

ქვეპროგრამის მიზანია: გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ომის მონაწილე ვეტერანი და იძულებით გადაადგილებული პირი.

ბ.ლ.) ქვეპროგრამა: მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11).

1. სიდატაკის რისკის ქვეშ (არ აქვთ თავშესაფარი) მყოფი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფას, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ ოჯახის ქულა 65 001 ქულამდეა – კომისიის მიერ ფასდება 5 (ხუთი) ქულით;

ბ) სამედიცინო დოკუმენტის ფორმა №100 (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მუდმივად მწოლიარე, ან აქვს დარღვეული ფსიქიკური ფუნქცია, თუ ოჯახში არის შშმ პირი ან შშმ პირები) არსებობა კომისიის მიერ ფასდება 4 (ოთხი) ქულით;

გ) თუ ბენეფიციარი მარტოხელა მშობელია – კომისიის მიერ ფასდება 4 (ოთხი) ქულით;

დ) მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) თითოეულ ბავშვს კომისია ანიჭებს 1 (ერთი) ქულას. ბენეფიციარის მოთხოვნა საცხოვრისით დაკმაყოფილდება, თუ მას სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ, შეკრებითობის პრინციპით, მიენიჭება მინიმუმ 9 (ცხრა) ქულა.

1.1. საცხოვრისის შესაძენად ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 8 000 (რვა ათასი) ლარის



ოდენობით.

1.2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახისათვის მოხდეს სულადობის გათვალისწინებით საცხოვრისის შექმნა, ფულადი დახმარების მაქსიმალური ზღვარია 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

1.3. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საცხოვრისის შექმნისას ანგარიშსწორება მოხდება მოძიებული ბინის მეპატრონის საბანკო ანგარიშზე.

2. ხანძრით (მხოლოდ საცხოვრებელი სახლის, ბინის) დაზარალებული ოჯახების დახმარებას.

2.1. ხანძრით დაზარალებული ოჯახის დახმარება განისაზღვრება მაქსიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მაცხოვრებელ ოჯახების დახმარებას (საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში), რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 100 001 ქულამდეა.

3.1. სოციალური დახმარების გამცემი კომისია საკითხს განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე.

3.2. ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარისა.

4. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისთვის საცხოვრისის შეკეთებას, მათ შორის შიდა სამუშაოების შემთხვევაში.

4.1. სოციალური დახმარების გამცემი კომისია საკითხს განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე.

4.2. ფულადი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარისა

ქვეპროგრამის მიზანია: ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: საცხოვრისის გარეშე არ დარჩეს არც ერთი ოჯახი, დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი სტიქიითა და ხანძრით დაზარალებული ოჯახი.

ბ.მ.) ქვეპროგრამა: ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების ფულადი დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 12).

ქვეპროგრამით ისარგებლებენ:

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოდაავადებულები, ვისაც ესაჭიროებათ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია და სხივური თერაპია.

ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ბ) ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეები.

ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანია: საჭირო პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი: რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩეს არცერთი ბენეფიციარი.



ბ.ნ.) ქვეპროგრამა: ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 13).

ქვეპროგრამით ისარგებლებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული

მოქალაქე, რომელიც ვერ ისარგებლებს მუნიციპალური სოციალური პროგრამის რომელიმე პუნქტით და აქვს კრიზისული მდგომარეობა.

ერთჯერადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა 300 (სამასი) ლარი.

განცხადებას განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების გამცემი კომისია“, სამსახურის და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ქვეპროგრამის მიზანია: კონკრეტული საჭიროების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩეს არცერთი ბენეფიციარი.

ბ.ო.) ქვეპროგრამა: ეპილეფსიითა და პარკინსონიზმით დაავადებულთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 14).

ქვეპროგრამით გაეწევათ დახმარება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ეპილეფსიით და პარკინსონიზმით დაავადებულ მოქალაქეებს.

დახმარება განისაზღვროს წელიწადში ერთჯერ 300 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანია: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შექმნაზე ფინანსური დახმარების გზით

მოსალოდნელი შედეგი: რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩეს არცერთი ბენეფიციარი.

ბ.პ.) ქვეპროგრამა: ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 15).

1. პროგრამა ითვალისწინებს, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისათვის იმ საჭიროებების მოგვარებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალური სოციალური პროგრამებით და აუცილებელია ზემოხსენებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვა გადაწყვეტილების მიღების მიზნით განხორციელდეს სოციალური დახმარების გამცემი კომისიის სხდომაზე.

ქვეპროგრამის მიზანია: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება;

მოსალოდნელი შედეგი: ბავშვის კეთილდღეობის საუკეთესო შედეგის მიღწევა.

ბ.ჟ.) ქვეპროგრამა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 16).

პროგრამით ისარგებლებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირი.

1.1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:



შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა და ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ მინიჭებული სტატუსი (მოქმედების ვადის შესაბამისად) ან/და საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის კოდექსი“-ს 1261 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი უწყების მიერ მიღებული დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.

1.2. ფულადი დახმარების თანხა განისაზღვრება ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანია: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: რეაგირების გარეშე არ დარჩეს ძალადობის არცერთი შემთხვევა.

ბ.რ.) ქვეპროგრამა: განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 17).

პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას, რომლებიც რეაბილიტაციას გაივლიან ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსებულ შესაბამის დაწესებულებაში.

დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურების (სარეაბილიტაციო კურსი 10 საათი) თანხის ანაზრაურებას არაუმეტეს 220 ლარისა ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

ქვეპროგრამის მიზანია: სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა აღნიშნული დიაგნოზის მქონე ბავშვმა მიიღოს აღნიშნული სერვისი.

გ) პროგრამა: ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 03).

ტყიბულის მუნიციპალიტეტის დონეზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრიორიტეტულ მიმართულებებიდან დაუცველი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერას, კატასტროფების რისკის შემცირებას და მასზე რეაგირებას ეთმობა. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით გახსნილი ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი მუშაობს ორი მთავარი მიმართულებით: კატასტროფების მართვა და ახალგაზრდული ცენტრი.

მიზანი: მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება მოხალისეთა შესაძლებლობებითა და ინტერესთა სფეროების გათვალისწინებით, საქმიანობათა ჯგუფების განვითარება.

თაობებს შორის დისკუსიებისა და შეხვედრების უზრუნველყოფა „ხიდი თაობებს შორის ახალგაზრდების ინიციატივების ფარგლებში“.

შეხვედრების ორგანიზება საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხების განსახილველად;

სასწავლო ტრენინგები მოხალისეებისათვის პირველი დახმარების და კატასტროფების მართვის კუთხით;

პროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ ტყიბულში მცხოვრები ახალგაზრდები, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

პროგრამის მიზანია: ინტეგრირებული საქმიანობის ცენტრი, რომელიც იმართება და აკმაყოფილებს ბენეფიციართა საჭიროებებს. ცენტრის მართვა ხორციელდება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით



პერსონალის მოხალისეებისა და ბენეფიციარების მიერ.

დატრენინგებული მობილური ჯგუფი კატასტროფებზე სწრაფი რეაგირებისათვის.

